გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1892



თავადი რაფიელ დავითის ძე ერისთავი შვილებით უმორჩილესად სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა, მობრძანდნენ შაბათს, 11 ამა თვისასა, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად მეუღლისა პირველისა და დედისა შვილთა მათთა, კნეინა თეოდოსია დავითის ასულის ერისთავისა.

12 იანვარს 1892 წელსა

ქუთაისის კლუბის ზალაში

დანიშნულია

აზნაურობის ბალი

სასარგებლოდ

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელისა.

გამგე კნ. მ. ა. ასული წერეთლისა.

(3—3)

„საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობისაგან“

„საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობის“ კანცელარია იმყოფება განოვის ქუჩაზე, სახლის № 7, ზემო სართულში. პირის-პირ მოლაპარაკება „ამხანაგობის“ მმართველთან შეიძლება კვირაობით, დილის 9 საათიდამ 11-მდე და ხუთშაბათობით 11—12 საათამდე.

ყოველისავე ცნობის შეტყობა შესახებ „ამხანაგობისა“ შეიძლება ამხანაგობის მდივანს გრიგოლ ყიფშიძესთანაც გაზ. „ივერიის“ რედაქციაში ყოველ-დღე, დილის 10 საათიდამ 12-მდე. (5—1)


## ახალი ამბავი

*** დღევანდლამდე ქალაქის გამგეობის კასსაში იდო ანდერძი სტატსკი სოვეტნიკის იაკობ სოლომონის ძის აბესალომოვისა, დაბეჭდილს კონვერტში შენახული. ეს ანდერძი განსვენებულმა აბესალომოვმა შეადგინა რამდენისამე წლის წინად და, რადგანაც მისი სისრულეში მოყვანა მიანდო ქალაქის თავს, რომელიც იქმნებოდა ამ ადგილზე განსვენებულის გარდაცვალების დროს, ამიტომ მიაბარა შესანახად ქალაქის გამგეობას, რომელსაც უნდა გაეხსნა იგი ი. ს. აბესალომოვის გარდაცვალების შემდეგ. აი შინაარსი ამ საყურადღებო ანდერძისა: ქალაქის თავმა უნდა ცნობიერებაში მოიყვანოს მთელი ჩემი უძრავი და მოძრავი ქონება, ნაღდი ფული და ბანკის ბილეთებიო. უნდა ფულად აქციოს უძრავი ქონება და, რაც-კი ამ სახით ფული შედგება, უნდა შეიტანოს ბანკში ხელუხლებელ თანხად, რომლის სარგებელიც უნდა მოხმარებულ იქმნას ამ გვარადაო: დაარსდეს 14 სტიპენდია ჩემის სახელობისა და აღიზარდნენ სასწავლებელში რვა ყმაწვილი სომეხი, ოთხი ქართველი და ორიც რუსი, ამათში ნახევარი რიცხვი უნდა იყოს ვაჟები და ნახევარიც ქალებიო. უკეთუ ჩემი სტიპენდიატები მოიწადინებენ, მაღალს სასწავლებელშიც უნდა იყვნენ გაგზავნილ ჩემს ხარჯზედაო და იქაც ჩემს სტიპენდიატებად ირიცხებოდნენ სწავლის დამთავრებამდეო. ჩემი ბორჯომის სახლი მიანდერძებია ჩემთა ძმათათვის, ხოლო მათის სიკვდილის შემდეგ, უნდა გაყიდულ იქმნას იგი სახლი და, რაც ფული ადგება, ისიც უნდა წაემატოს ზემოხსენებულს თანხას. რა-კი ამ სახით თანხა გაზევრდება, მისის შემოსავლის-და კვალადობაზე უნდა მოემატოს რიცხვიც სტიპენდიანტებისა, ხოლო ეს რიცხვი უნდა ისე განაწილდეს სომეხ-ქართველ-რუსთა შორის, როგორც აღნიშნული 14 სტიპენდიატიო.

*** კავკასიის რკინის გზის სადგურს „მოლითიგან“ დებეშით იუწყებიან შემდეგს: ტფილისის მხრიდგან მომავალ მატარებლის მემაშინეს დეპეშა ჰქონდა მიღებული, რომ სადგურთან იგი წყნარად და ნელა უნდა მისულიყო და წითელ დისკთან გაეჩერებინა მატარებელი. მემაშინე ბევრს თურმე ცდილობდა მატარებლის სიარულის მოკლებას, მაგრამ ვერას გამხდარა, რადგანაც რკინის გზის ლიანდაგზე თოვლი დებულა და ვაგონები საშინელის შიჩქარით მიდიოდნენ თურმე. მოლითიდამ სამის ვერსის მანძილზე ვაგონების თვლების გახეხვისა გამო ბუქსებს ცეცხლი გაუჩენია და 36 ვაგონი ცეცხლ წაკიდებული მისულა მოლითში. მემაშინეს აქ შეუმჩნევია მდგომარე მატარებელი და მაშინვე ორთქლ-მავალი უკან დაუხევია. ამის გამო მატარებლიდგან მეექვსე ვაგონი ზემოდ ამოვარდნილა ႳႣ დასცემია მეორე ვაგონს. ამასთანავე შემდეგი ვაგონებიც გადმოვარდნილა რელსებიდამ, წინა ვაგონებზე შემხტარა და დამსხვრეულა. ამ დროს ვაგონ-ცისტერებიდგან დაღვრილა ნავთი და ვაგონების ნამსხვრევებს წაჰკიდებია ცეცხლი. ორი დღეა, აქრობენ ცეცხლს, მაგრამ ჯერაც ვერას გამხდარან. დამწვარ კონდუქტორების გარდა, ვაგონის ნამსხვერევებში უპოვნიათ ორი ლეკიც, რომელნიც თურსე რკინის გზის ლიანდაგს ასუფთავებდნენ. დაჭრილი და დამწვარი ბევრია.

*** ნათლი-ღება დღის უბედურების შემდეგ ოფიციალურად გავიგეთ, რომ 32 კაცი მომკვდარა და დარჩობილა ჩატეხილს ხიდს ქვეშ. ამათი გვარები უკვე დავბეჭდეთ. გუშინ ოფიციალურად პოლიციამ გვაუწყა, რომ, მათ გარდა, იმ უბედურობის დროს მომკვდარა არტემ გეურქას ძე საამოვიც, 18—19 წლის ყმაწვილი.

*** გუშინ, ამ თთვის 10-ს, კავკასიის სამხედრო ოლქის სისხლის სასამართლოში გაირჩა შტაბ როტმისტრის ტიზენჰაუზენის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ერევნის ქალაქის თავის დაჭრა, მოკვლის განზრახვით. სამხედრო სასამართლომ გუშინ სამს საათზე გამოუტანა ბ-ნს ტიზენჰაუზენს თავისი გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ტიზენჰაუზენი გამართლებულ იქმნა.

*** ქალაქში ხმა დადის, სურბსარქისის მღვდელს ტერ-კოსტა არარატიანს ისე შეეშინდა ექვს იანვარს მომხდარ უბედურებისა, რომ ციხეში მივიდა და სთხოვა დამაპატიმრეთ, ოღონდ გამძვინვარებულს ხალხს-კი გადამარჩინეთ როგორმეო. ასეთი ხმა დადის, მაგრამ, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ტერ-კოსტა არარატიანი თავისს სახლშია და გარედ გამოსვლა აღკრძალული აქვს. დღეს, პარასკევს, იმასთან გამომძიებელი იყო და ჩვენება ჩამოართვა.

*** ქართული დრამატიული დასი 15 იანვრისათვის ქ-ნ ლ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ ამზადებს ახალს დრამას ახალგაზდა მწერალის ა. მ. ბენაშვილისას „თელაველს ოტელოს“. ამას გარდა, დივერტისმენტიც იქნება, რომელშიაც ბ-ნი აბაშიძე სომხურს სცენებს წაიკითხავს.

*** კუკიის სასაფლაოზე კარგა ხანია დაიწყეს შენება ეკკლესიისა, რათა ამ ეკკლესიისათვის ცალკე მრევლიც მიეჩინათ. ამოიყვანეს საძირკველი, მაგრამ კედლები-კი ვერ დამთავრდა, რადგან საჭირო ფული არა ჰქონდათ. ამიტომ მხოლოდ დროებითი პატარა ეკკლესია გამართეს ამოყვანილს საძირკველზე, რაიცა 2,000 მან. დაჯდა. ეს ფული კონდაკით მოაგროვა ხსენებულ ეკკლესიის მღვდელმა ი. ბერიძემ. 14 ამ თთვისას დანიშნულია კურთხევა ახალის ეკკლესიასა და უნდა აკურთხონ ქართველთა განმანათლებელის მოციქულთა სწორის წმ. ნინოს სახელობაზედ, რომელსაც ჩვენი ეკკლესია ამ დღესა დღესასწაულობს. აქამდე ტფილისში არც ერთი ეკკლესია არ აირს ნაკურთხი წმ. ნინოს სახელობაზე და ეს ეკკლესია პირველი იქნება.

*** როგორც ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, 23 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე ტფილისში ავად გხმხდარა ყვავილით ერთი და ხუნაგით ცხრა კაცი, რომელთაგანაც გარდაცვლილა ერთი.

*** გუშინდელს ნომერში მოხსენებული გვქონდა ამბავი სადგურს „მოლითში“ მომხდარ უბედურებისა. ეხლა ამ ამბის შესახებ შემდეგი კიდევ შევიტყეთ. მატარებელი № 52

## ფელეტონი

### სიმონა

(მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა)

IV

(დასასრულ.. იხ. „ივერია“ № 4)

ძალაძის მეზობლად ესახლა ერთი, მთელს სოფელში დიდად გავლენიანი და მდიდარი, მძლავრი კაცი, დავით დროიძე. დავით მაღალი, რიხიანის შეხედულების კაცი იყო, კარგი მოლაპარაკე, ენა მეტყველი, თან ხუმარაც. წლოვანებით დავით ორმოც-და-ათის წლისაზე მეტის ხნისა იყო, მაგრამ სახესა და ჯანზე-კი ორმოცის წლის კვალიც არ აჩნდა. შთამომავლობით დროიძე გლეხი იყო, ერთის აზნაურის „ნაკაცვარი“. ყმაწვილობისას დავით ვიღაც ნიგვზის ხეებით მოვაჭრე ბერძენთან იდგა, ჯერ მოჯამაგირედ და მერე „პრიკაშჩიკად“. შემდეგ, როცა ბერძენი თავის ქვეყანაში წავიდა, დავითმა თითონ დაიწყო ნიგვზის ხის სყიდვა-გასყიდვა. ამბობდნენ, ვითომც ბერძენმა ფული დაუტოვა დავითს—ხეები იყიდე ჩემს მოსვლამდე და დამახვედრეო. რადგან ბერძენი თავის ქვეყანაშივე მოკვდა, ბერძნის ფულები დავითს შერჩა და იმით გამდიდრდაო. მართალი ხმა იყო ესა, თუ არა, ამისი რა მოგახსენოთ. მართალია, ბერძენს დავით სანდო კაცად მიაჩნდა და აძლევდა ფულს ხეების საყიდლად; ხშირად დავითს ათას მანეთობით ჰქონია ჯიბეში ბერძნის ფული და უყიდნია ბერძნისთვის ხეები სხვა-და-სხვა სოფელში. ამას გარდა, როცა ბერძენი თავის ქვეყანაში წავიდა, დავით ერთს ხანს კიდევ ბერძნის სახელით ჰყიდულობდა ხეებს. მხოლოდ რამდენსამე ხნის შემდეგ გაამხილა, რომ ბერძენი აღარ დაბრუნდება, ყოველივე ანგარიში გაასწორა და ისე წავიდა, ხეებს საკუთრად ჩემთვის ვყიდულობო. ამას შემდეგ, რასაკვირველია, ხალხს საბუთი ჰქონდა ეთქვა—დავითს ბერძნის ფული შერჩაო. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ დავითს თავისი ჯამაგირიდგან შეენახოს ფული და იმით დეეწყოს ხეების ვაჭრობა, რომელშიაც ძლიერ გამოცდილი იყო. ასე იყო თუ ისე, დავითს თავის საქმე კარგა მიჰყავდა. რამდენისამე ხნის შემდეგ, როცა ნიგვზის ხეები სოფლებში გაძვირდა, დავითმა დაანება თავი ხის ვაჭრობას და სიმინდის ვაჭრობას მიჰყო ხელი. ამ ვაჭრობამაც კარგა ბლომად შესძინა დავითს ფული. ამას დავითი თითონაც აღვიარებდა ხანდახან—ძაან სარგებელი ვნახე იმ სიმინდის ვაჭრობაშიო. უკანასკნელ დავით მობრუნდა სოფელში, შეისყიდა თავის მებატონისაგან „ნადელ“-ის მიწები, გაიკეთა კარგი „ოდა“ (სახლი) და გაიჩინა ცოლშვილი. თუ რამ „საფოდრათო“ საქმე გამოჩნდებოდა ახლო-მახლო და სარგებლიანობა ეტყობოდა საქმეს, დავით თავის ხელიდან არ გაუშვებდა. თუ არა და,—ცხოვრობდა თავის ფულების „პრაცენტით“,—ფულებს მეზობლებში ასესხებდა ႳႣ დარწმუნებულიც იყო, რომ არ დაეკარგებოდა. ბოლოს, როცა დავითის უფროსი ვაჟი წამოიზარდა, დავითმა გააკეთა თავის სოფელშივე დუქანი, დააწყო შიგ გასასყიდად ისეთი რამეები, რაც სოფლისთვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მაგალითად: ხმელი თევზი, მარილი, ნავთი, საპონი, სანთელი და სხვა ამ გვარი და დააყენა დახლში თავისი უფროსი ვაჟი. დუქანს კარიგი შემოსავალი ჰქონდა. ამასობაში გამოიზარდნენ დავითის უმცროსნი ვაჟებიც. ეხლა დროიძის ოჯახმა განზედ გაშალა ფრთები: უფროსმა ვაჟმა დაანება სოფლის „დუქნუკას“ თავი და ერთს მახლობელს ქალაქში ეხლა „მანუფაკტურით“ ვაჭრობდა; იმისი ორი ძმა მამის ხელობას დაადგა—სიმინდს და ნიგვზის ხეებს ჰყიდულობდნენ და ჰყიდნენ. ორი უმცროსი შვილი დავითმა სკოლაში გაზარდა; ერთი იმათგანი პოლიციაში იყო სეკრეტრად, მეორე, სულ ყველაზე უმცროსი, იუნკრის სკოლაში ჰყავდა და იმედი ჰქონდა, რომ მალე „აფიცრობას“ მიიღებდა. თვითონ დავით-კი ოჯახში იყო. რომ იმ გადასახადებისაგან განეთავისუფლებინა თავი, რომელიც გლეხს აწევს კისერზედ, დავითმა თავის დროზე დახარჯა ფული და სასულიერო წოდების კაცად ჩაეწერა, თუმცა-კი არავის ახსოვს, რომ დავითის მამა-პაპათაგან ვინმე სასულიერო წოდებისა ყოფილიყოს, გარდა დავითის პაპის ერთის ძმისა, რომელიც დიაკვნად ყოფილიყო. ესეც რომ არ მოეხერხებინა დავითს, ის სავაჭრო მოწმობანი, რომელთაც დავითს შვილები იღებდნენ ყოველწლივ, სრულიად განათავისუფლებდა დავითის გლეხ-კაცის მოვალეობისაგან. ამიტომაც წაბლისერში დავითის

დაჯახებისა გამო-კი არა, სულ სხვა მიზეზით დაღუპულა. მომხდარ ცეცხლის გამო დამწვარა 6 კაცი, სულ კონდუქტორები: გიორგი ხიხაძე, ივანე ხოჩიძე, სამსონ მესხი, ფლ. ვასილევი. ფ. კუზნეცოვი და ნ. კავტევსკი. დაშავებულან: მ. ყულუმაშვილი, ნ. საყვარელიძე, მ. კუზნეცოვი და იუდინი. დაშავებულები ტფილისში ჩამოიყვანეს.

*** თეირანიდგან დეპეშით იუწყებიან: გუშინ კოლლა დაშტის ოლქში სპარსეთის ჯარს შეუპყრია ტყუილი წინასწარმეტყველი სეიდი ამხანაგებითურთ. ამის დაჭერისთვის ჯარს დაუხოცნია ორასზე მეტი სპარსელი და ამ უკანასკნელებს კიდევ ოთხმოცამდე ჯარის კაცი.

*** რაც რამ ძვირი ანუ იაფ ფასის ნივთეულობა და ფული ჰქონდათ მათ, ვინც ხიდის ჩატეხის დროს დაირჩო, პოლიციის მეცხრე ნაწილში შენახული და უბრუნებენ უბედურთა ნათესავებს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის ოლქის პროკურორი ტფილისის პოლიციას ხიდის ჩატეხის თაობაზე აბრალებს 250 მუხლის დარღვევას.

*** ცხენის რკინის გზის კონდუქტორებს დაურიგეს ყულაბები დამშეულ გლეხების სასარგებლოდ ფულის მოსაგროვებლად.

*** ტფილისის პოლიციმეისტერმა უბძანა პოლიციის ბოქაულებს, დაწვრილებითი ცნობანი მომიტანეთ 6 იანვარს დაღუპულთა ვინაობისა და შეძლების შესახებაო.

*** 6 იანვარს მომხდარ უბედურობის დროს დაღუპულების ოჯახობათა სასარგებლოდ სხვა-და-სხვათაგან შეწირულება შეიკრიბა 765 მანეთი და 40 კ. შემწირველთა სიას ხვალ დავბეჭდავთ.

*** წლეულს საახალწლოდ ტფილისში პირველის გილდის ვაჭრობის მოწმობა 82 კაცს აუღია, ხოლო მეორე გილდისა 656 კაცს.

*** გამოძიებას 6 იანვარს ტფილისში მომხდარ უბედურების საქმისას აწარმოებს საგანგებო გამომძიებელი ბ-ნი დრაგნევიჩი.

*** პირველ იანვრიდამ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე შეამცირეს ხარისხი მემაშინეთა და ამასთანავე ჯამაგირებიც მოუჭრეს. ამის გამო მრავალი მემაშინე იძულებული შეიქმნა, სამსახურისთვის თავი დაენებებინა.

*** ახალ-წელიწადს დღეს სოფ. დილომში ლევან თურქიაშვილი წასჩხუბებია თავისს მამას ივანეს და ხანჯლით დაუჭრია. დაჭრილი ორის დღის შემდეგ გარდაცვლილა.

*** გაზ. „Новости“ ამბობს, რომ 200 ათას მანათიანი მოგება უკანასკნელის ტირაჟის დროს ერგო ორს დას ობლებსაო.

*** სოხუმიდგან გაზეთს „Нов. Обоз.“-ს შემდეგს სამწუხარო ამბავსა სწერენ: „ჩვენებური ვაჭარი დაურჯუფი და ერთი ათის წლის ყმაწვილი რევოლვერსა სინჯავდნენ და ვერ შეატყეს, რომ გატენილი იყო. ვაჭარმა უთხრა ყმაწვილსა, აბა მესროლეო და როცა ყმაწვილმა რევოლვერის ფეხს გამოსწია, ტყვია კაცს თვალში მოჰხვდა და მოკლაო“.

*** იმავე გაზეთს სწერენ: „სოფელს ზანაში (ზუგდიდის მაზრა) ორი აზნაური მოჰკლეს. დედიმ მაღრანიმ თავისი ცოლი თავის ბიძა აფაკიძესთან გაგზავნა სოფელს ზანაში. როცა ქმარი მივიდა შინ წამოსაყვანად, ქალი და იმისი საყვარელი აზნაური პაპასკელი იმ ღამეს ერთად გაიქცნენ. ქმარი წამოეწია გაქცეულებს და საყვარელი მოჰკლა, ხოლო ცოლი გაექცა. შემდეგ დაბრუნდა ქმარი და ცოლის მაგიერ იმისი ბიძა მოკლა. მკვლელი დაიმალა“.

*** პეტერბურგიდამ დეპეშით აუწყებენ გაზეთს „კავკაზ“-ს, პოლკოვნიკი დებანჟი და ფრანგი აფიცრები ამ მოკლე ხანში აქედგან კავკასიაში გამოემგზავრებიანო.

*** გაზეთს მშაკში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ნერსესიანთ სემინარიის სამზრუნველოს აბიანცისა 6 იანვარს მომხდარ უბედურების შესახებ:

„ჯერ ისევ 1889 წელს, ეპისკოპოს არისტაკესის დროს, რამდენმამე ტფილელმა სომეხმა მოინდომა რკინის ხიდის გასაკეთებლად ფულის შეგროვება, რომ ყოველ- წლივ ახალ-ახალი ხარჯი აღარ მოსვლოდათ. დაარსდა კიდეც ამხანაგობა, თავმჯდომარეობით ეპისკოპოსისა და ამ ამხანაგობამ შეკრიბა 949 მანათი. ვაჭარმა აკოფიანცმა შემოსწირა რკინის მასალა ხიდისათვის და ფულადაც 1000 მანათი. ამ დროს ეპისკოპოსი არისტაკესიც გადაიყვანეს ტფილისიდგან და ეს საქმე მიჩუმდა. როცა ეპისკოპოსი მამბრე მობრძანდა, მე მოვახსენე, ხიდისთვის ფულები ბანკშიაც არის შენახული და კიდევ რამდენსამე ჰსურს შემოწირვა, თუ ხიდის კეთებას შევუდგებით-მეთქი. ამაზედ ეპისკოპოსმა მიპასუხა, ჯერ ეგ საჭირო არ არის, რადგან ჯერ ეჩმიაძინის მონასტრისა და ვანქის ტაძრის განსაახლებლად უნდა შევაგროვოთ საჭირო ფულიო. საქმე ამითი გათავდა.

ამ ჟამად შემოწირული მასალა ვანქის გალავანში ყრია და ფუჭდება და შეკრებული ფულიც ბანკშია ჩვენთვის გამოუყენებლად; ვინც დაპირებული იყო შემოწირვას, იმათაც გული აუცრუვდათ, ხოლო სომეხთა ეკკლესიებს ყოველ წლივ 500 მანათამდე ხარჯი მოსდის დროებით ხიდის გაკეთებაზე, რომლის იჯარასაც კერძო კაცნი იღებენ. წლეულს სურბ-სარქისის ეკკლესიის მღვდელს ტერ-კონსტანტინ არარატიანს ჰქონდა აღებული იჯარა.

და აი საქმე იმითი გათავდა, რომ 6 იანვარს დიდი უბედურება მოხდა და მრავალი იმსხვერპლა.

*** 9 იანვარს პოლიციის პირველს ნაწილში იოსებ ივანოს სადგომიდგან 12 მან. ღირებული საბანი მოიპარა ჯარის-კაცის შვილმა პაპომ. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს რაჭის მაზრის მცხოვრებელმა ივან გიორგობიანმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ლაზარეს ქუჩაზე ჩემის პურის საცხობიდგან 150 მან. მომპარესო. ქურდები აღმოჩნდნენ იმავე მაზრისმცხოვრებელნი ბესო ლონლაძე და გიგო ბეჩოშვილი, რომელნიც შეიპყრეს, ორმოცი მანეთი უპოვნეს და პატრონს გადასცეს.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

აგერ მესამე-მეოთხე დღეა ტფილისის გაზეთები მარტო ნათლიღება დღეს სომხების იორდანეზედ მომხდარ უბედურების შესახებ სწერენ და ჰლაპარაკობენ. და ან რა მარტო გაზეთები, როდესაც მთელი ქალაქი ამ ამბის გამო მითქმა-მოთქმაშია. ყველა იმას ჰკითხულობს, ვინ არის, ვისის მიზეზით მოხდა ეს უბედურებაო. გაზ. „Кавказъ“-ი ამბობს, რომ

სამწუხაროდ, როცა ასეთი რთული უბედურება ხდება, ძნელად საპოვნელია ერთი დამნაშავე. პასუხის-მგებლებად ბევრნი არიან და ყოველს თითოეულად ბრალის ისეთი მცირე ნაწილი ხვდება, რომ, ხალხის საწყენად, ყველანი გადარჩებიან ხოლმე სასჯელს... დამნაშავენი ჩვეულებრივ თითქმის ყველანი არიან ხოლმე, ვისაცკი ამ საქმესთან ასე თუ ისე რამე დამოკიდებულება ჰქონია.

გაზეთის აზრით, უმთავრესი მიზეზი ამ უბედურებისა დაუდევრობაა, თავისის მოვალეობის პირნათლად აუსრულებლობა.

ჯერ ერთი განა საქმის დაუდევრობა არ არის, რომ ხალხი ერთმანეთს აწვებოდა, . სწულეტდა ხიდზედ, როდესაც ხიდი ამისათვის უვარგისი იყო? ნუ თუ იმდენნი პოლიციელნი არ იყვნენ, რომ უწესობის ნება არავისთვის მიეცათ? თუ ეს ვერ მოახერხეს, ნუ თუ დაუდევრობა არ უნდა ვუწოდოთ ამას? როგორ მოხდა, რომ ქალაქის შუაგულს ააგეს ხიდი, ისე რომ ეს ხიდი არც არავინ შეამოწმა და არც ნება-რთვა იყო აღებული ხიდის აშენებისა? მთელს ქალაქში-კი ერთი და ორი დაწესებულება არ არსებობს, რომელსაც, რომ მოუნდომებინა, შეეძლო ხიდის აგება დაეშალა.

დასასრულ, ყველაზე არ-მესანდობელი-კი სასულიერო მთავრობის დაუდევრობაა? ვგონებთ ყველაზედ მეტად სასულიერო წოდება უნდა სცდილიყო და ეზრუნა, რომ უგანსაცდელოდ, წესიერად ჩაევლო? აქაც-კი მეტის-მეტია ამათი საქციელი. გადაუწყვეტიათ, ჩვენ რა გვენაღვლება, ჩვენ მარტო ხიდი უნდა ავაგოთ როგორმე და მისი ავკარგიანობა-კი ტეხნიკოსების საქმეაო. მერე ტეხნიკოსებს რომ სულ ბოლოს დრო'ს, მოწურულში ეთქვათ, ხიდი არ ვარგაო, და ზედ სიარული აღეკრძალათ, როგორ-ღა გადაიხდიდნენ საეკკლესიო დღესასწაულს? ამისთვის მაინც ეფიქრათ!

გაზეთი იმითი აბოლოვებს თავისს წერილს, რომ სამღვდელოების საქციელს მარტო ის შესანდობელი მიზეზი აქვს, იმათი საქმე არ არის ხიდების აგებაო. მერმისისათვის მაინც უნდა ეცადნენ, რომ ქალაქს გადასცენ ეს საქმე და სასულიერო უწყებას მხოლოდ საჭირო ხარჯი გადაახდევინონო.

**

გაზ. „Тиф. Лист.“-კი იმ აზრისაა, რომ უეჭველად უნდა აღმოჩენილ იქმნენ დამნაშავენი, იმისთვის მაინც, თუნდა სამართალიცკი ვერაფერს შეუვიდეს და ვერ დასაჯოს, რომ მსხვერპლთა მემკვიდრეებს ზარალი აღუდგინონო.

უმთავრესად მუშა-ხალხი დაიღუპა, ის ხალხი, რომელიც თავისის ოფლითა სცხოვრობდა; თუ ბევრმა მამა, ძმა და ნათესავი დაჰკარგა, ის უფლება მაინც არ უნდა ჩამოერთვათ, რომ ქონებრივად დაკმაყოფილება სთხოვონ დამნაშავეთ.

მე-X ტ. პირველ ნაწ. კანონის მე-684 მუხლი ამბობს:

„ყველა ვალდებულია, ზარალი და ზიანი აღუდგინოს, თუ ვისმე მიაყენა თავისის საქციელითა და შეცდომით, თუნდა ეს საქციელი ანუ შეცდომა არც დანაშაულს და არც ავ-კაცობას არ შეადგენდეს“.

აქედგან აშკარაა, რომ ისინი, ვინც ჯერიდგან ნება-დაურთველად ხიდი ააგებინა, ვინც ხალხს ნება მისცა ხიდის შეუმოწმებლად და, დასასრულ, ვინცა ჰსნახა, რომ ხიდი გეგმის წარუდგენლად და უტეხნიკოსო შენდებოდა, სწორედ ისინი არიან ამ შეცდომის ჩამდენნი, ზარალის მომცემნი ვალდებულნი არიან მსხვერპლთა მემკვიდრეებს ქონებრივად პასუხი გასცენ, იმის კვალობაზედ, რა მონაწილეობაცა აქვთ ამ საქმეში მიღებული.

ჯერ-ჯერობით-კი ეს საქმე, რასაკვირველია, სასამართლომ უნდა ითაოს და წვრილად გამოიკვლიოს და გამოიძიოს, ვინ არიან არამც თუ მარტო დამნაშავენი, არამედ ამ შეცდომის ცოტად თუ ბევრად ხელის შემწყობნიც.

ოჯახს „აზნაურის ოჯახს“ ეძახდნენ, თუმცა ბევრს კარგად ახსოვდა, რომ რაღაც ოცისა თუ ოც-და-ათის წლის წინად თვითონ დავით ერთი გუდამშიერის აზნაურის შინაყმა იყო. მიწა-ადგილებს დავით თან და თან იძენდა, ასე რომ, ბოლო დროს კარგი მამულის პატრონი თავადს-ითვის შეეძლო ხელის გაწვდენა. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ დავით დროიძე თავის სოფელში პატარა მეფე იყო.

სიმონა და საზოგადოდ ძალაძის ოჯახი თაობიდანვე ათვალ-წუნებული ჰყავდა დავითს. „რავა კაცის ჩამომავლობაა, რომ იმისაგან კაი რამე გამოვიდეს! გაბილა ძალაძემ უდროვოთ დააბერა თავის ბატონი“-ო, ამბობდა ძალაძიანებზე. „ა ი ბიჭი სათოკე იქნება, სულ ბაბუა მისის მოყვანილობა და თვალები აქ!“ იტყოდა დავით, როცა ჰნახავდა პატარა სიმონას, რომელიც, თუმცა პატარაობიდანვე გაბედული ბავშვი იყო, მაგრამ დავითის რიხიან ხმას, დიდრონ წარბებს და მწყრომარე თვალებს ისე შეეშინებია, რომ პატარაობისას ძლიერ ერიდებოდა დავითის შეხვედრას. ბევრჯელ ყოფილა, რომ დედას სიმონა საქმეზე გაუგზავნია, სიმონას გზაზე დავით დაუნახავს და შინ დაბრუნებულა შეშინებული. „უიმე, ბატონო, რა ნაირათ ეშინია იმ ჩემ ბიჭს შენიო, უთხრა ერთხელ ქეთევანმა დავითს. „ყოველ ავსულს ეშინია სხვისი“ უპასუხა დავითმა ამაყად.

— გენაცვალოს ქეთევან, იმას რა ავ-სულობა შეუძლია, ჯერ ნაცარს არ მოშორებია! მოკრძალებით შეუბრუნა სიტყვა ქეთევანმა.

— ჯერ ხო, არ შეუძლიან, მარა გეიზდება და მაშინ შეიძლებს. გაბილაის შვილის შვილი არ არის! უპასუხა დავითმა თავისებურის ხუმრობის კილოთი.

დავითის ადგილას რომ სხვა ვინმე ყოფილიყო, ამ სიტყვებისთვის ქეთევანი ერთს ვაივაგლახს დააწევდა. მაგრამ დავითს, პატივცემულს დავითს, ვერც ამ გაბედულმა ქეთევანმა გაუბედა აქ სიტყვის შებრუნება, რადგანაც იცოდა, რომ დავითი, თუ მოინდომებდა, კოლოსავით გასრესდა ამ საცოდავს ქრივობოლს.

განსაკუთრებული მტრობა-კი, უნდა ვსთქვათ, არ ჰქონია ძალაძის ოჯახთან დავითს. თავის მხრით, სანამ ცოცხალი იყო, გიგოია და მერე ქეთევან, დიდის მორიდებით ეპყრობოდნენ დავითს და მის ჯალაბს. ასე გასინჯეთ, ერთხელ დავითის ერთმა შვილმა ორი ღორი ერთად მოუკლა ქეთევანს, მხოლოდ იმისთვის, რომ ეზოში შემოვიდაო. სხვა მეზობელს რომ ეს გაებედა ქეთევანისთვის, ქეთევან თოფით მიუხდებოდა ოჯახში. მაგრამ დავითთან პირ იქით ბოდიშიც მოიხადა:

— რა ვქნა, ქვრივ-ოხერი ვარ, პირუტყვის მოვლა ვერ შევიძელი და შეგაწუხეთო. ამ სიტყვებით გულმორბილებულმა დავითმა მოკლული ღორები დაუბრუნა ქეთევანს და თან ერთი საკაბე ჩითიც აჩუქა.

## V

ერთს ზაფხულს, — მაშინ სიმონა თხუთმეტის წლისა იქნებოდა, — ერთს სიმონას მეზობელს „ნალია“ (სასიმინდე) გაუტეხეს და სიმინდი მოჰპარეს. ამ საქმის გამო ხალხი კანცელარიასთან შეიკრიბა და მოახდინეს რჩევა, თუ როგორ მიაგნონ ქურდს. დავით, რადგანაც მამასახლისთან მუდამ ჰქონდა საქმე, კანცელარიაში ხშირად დადიოდა. იმ დღესაც, როცა ხალხს ქურდის მონახვაზე ჰქონდა რჩევა, იქ იყო. როცა სოფლის ყრილობას დაესწრებოდა დავით, თითქო ესეც ხარჯის მხდელი გლეხიაო, ისეთს მონაწილეობას იღებდა რჩევაში. რა თქმა უნდა, რომ ვის მხარესაც დავით დაიჭერდა, საქმე იქით გადიხრებოდა. იმ დღეს დავით, ჯერ დინჯად, დარბაისლობით, ფეხისფეხზე შემოდებით, გძელ-ღერ'იანის ყალიონით სწევდა თუთუნს და ისე უყურებდა ხალხის ჩოჩქოლს, მერე ისევ დინჯადვე „დარეკა“ ჩუბუხი, წამოდგა სკამიდან, მიიწია ხალხისკენ და დაიწყო:

— რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა, ჩვენი სოფელი აქამდე წმინდა სოფელი იყო, სხვაი სოფლიდან თუ ვინმე შამოგვეპაროდა, თვარა შით ქურდი არ გვყოლია. ამ ბოლოს-კი წახთა, ძაან იმატა წვრიმალმა ქურდობამ. გუშინლამ ბალი გამიცალეს ყურძნიდან. ხილს აბა ვინ დაგიყენებს! მართალ ია, ჯერ დიდიზა ვერ შეუბედავს, ვინცხაა, მარა რომ გამოიცთება, იმასაც არ დააკლებს ხელს.

აქ დავითმა სიტყვა შესწყვიტა, ცოტა ჩაფიქრდა და შემდეგ ისევ განაგრძო:

— იქნება არაფერ შუაშია და ტყუილა წავიწყმინდო სული,... ჩემი თვალით არაფერი მინახავს მის ხელში... კიდევ ვიტყვი, ობოლი კაცია და, თო დანაშაული არ არის, დიდ ცოდვას ვიდებ კისერზე, მარა...

აქ კიდევ შეყოყმდა და შემდეგ დაფიქრებით წამოსთქვა:

— მარა, ჩემი ფიქრით, იი ობო-

**

ზემოხსენებულს ორს გაზეთს გარდა, ნათლი-ღება დღეს სომხების იორდანეზედ მომხდარ უბედურების გამო თავისი აზრი გამოსთქვა ბ-ნმა არწრუნის გაზეთმა „მშაკმაც“. „მშაკი“ სომეხთა საზოგადოებასა ჰკიცხავს, რომ ხიდის აგება ამ საქმის მცოდნე კაცებისათვის არ მიუნდვიათ. გაზეთის სიტყვით, ამ ერთს შეცდომას გარდა, სამღვდელოება უხერხულად მოიქცა თვით უბედურების შემდეგაცაო.

იმ დროს, როდესაც ხალხს თევზებსავით იჭერდნენ მტკვარში, სწორედ ამ დროს ეპისკოპოსის მამბრეს სადგომში დიდ-ძალს „საპატიო მოქალაქეს“ მოეყარა თავი, შეექცეოდნენ და ჭიქებით აღჭურვილნი ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავდნენ. ხალხმა ეს ამბავი ფანჯრებიდგან დაინახა და აღშფოთებულს უნდოდა შესულიყო ეპისკოპოსის მამბრეს სადგომში და თავისის იქ ყოფნით წინააღმდეგობა გაეწია სომხთა ესრედ წოდებულ ინტელიგენციისა და შეძლებულთა უღირს წარმომადგენელთა უგულო საქციელისათვის.

გაზეთი ქალაქის გამგეობასა სდებს, სხვათა შორის, ხიდის ჩატეხვის ბრალს, და ბოლოს ისიც იმავე აზრს გამოსთქვამს, რომ ბრალდებულნი და დამნაშავენი უეჭველად სამაგალითოდ უნდა დაისაჯნენო...

**

ზემოდ გაზ. „მშაკიდგან“ ამოწერილს სიტყვებს დღევანდელს „Нов. Обоз.“-ში ხმოსანი გ. იოვანგულოვი სრულიად უარ-ჰყოფს, არც ჭიქები გვჭერია ხელში და არც ერთმანეთისათვის დღესასწაული მიგვილოცნიაო. ბ-ნი იოვანგულოვი სწერს, რომ

მეც ვიყავი იმათ შორის (და ქალაქის მოურავი თ. ნ. კ. არღუთინსკი-დოლგორუკიც იყო), ვინც ეწვივნენ მის ყოვლად უსამღვდელოესობას, ეპარქიის უფროსს 6 იანვრის უბედურების შემდეგ, და ვმოწმობ, რომ უკლებლივ ნათქვამი ბ-ნ არწრუნის მიერ სრული სიცრუე და ცილისწამებაა. ეპისკოპოსს მამბრეს, რომელიც რვა თვის ავადმყოფობის შემდეგ ჯერ არ იყო სრულიად გამობრუნებული და მწუხარებით თითქმის მკვდარი იყო, კი არ ულოცავდნენ იქ მყოფნი, ანუგეშებდნენ... ხოლო საუცხოო საუზმეს-კი, ვითომ, ჩვეულებისამებრ, წრეულსაც გამართულს ეპარქიის უფროსის დარბაზში მხოლოდ გაზ. „მშაკის“ რედაქტორის ფანტაზია თუ დაინახავდა.

ალლაჰმა უწყის, ვინა სტყუის და ვინ მართალია!...

---

## რუსეთი

გაზ. „Рус. Вѣд“-ის მესამე ნომერში დაბეჭდილია მოკლე მიმოხილვა რუსეთის ლიტერატურისა 1891 წლის განმავლობაში. მიმოხილვის დამწერი მწუხარებით აღნიშნავს ჯერ იმათ სახელს, რომელნიც დაჰკარგა რუსეთის სიტყვიერებამა და მერე გვიამბობს, ვინ რა საყურადღებო მოთხრობა, ან წერილი სამეცნიერო გამოკვლევა დაჰბეჭდა რუსეთის სხვა-და-სხვა ჟურნალში. აი სახელები გადაცვლილ მწერალთა: ი. გონჩაროვი, მწერალი საუცხოვო რომანებისა, ნ. შელგუნოვი, პუბლიცისტი, ს. კოვალევსკის ქალი, მათემატიკის პროფესორად ნამყოფი სტოკჰოლმის უნივერსიტეტში და ავტორი გულ-თბილად დაწერილის და კაცთ-მოყვარებით სავსე სალიტერატურო წერილებისა, პუბლიცისტი მ. ზ. ელისეევი, საერო პოეტი რაზზორენოვი, ჟურნალისტი ვატსონი, პროფესორი რედკინი და პროფესორი ანდრეევსკი, ბროკჰაუზის ლექსიკონის რედაქტორად ნამყოფი.

ყველაზე უკეთესნი მწერალნი წარსულის წლის განმავლობაში სწერდნენ უფრო სამს ჟურნალში: Вѣст. Европы, Сѣвер. Вѣст.-ი და Рус. Мысль-ი. პირველში დაიბეჭდა ვრცელი რომანი მარიამ კრესტოვსკისა „არტისტი ქალი“, მოთხრობა სტასულევიჩისა: „პირველი ნაბიჯი“, მოთხრობა პოტაპენკოსი „კეთილნი კაცნი“ და ერთი მოთხრობა ლესკოვისა. თარგმანებში დაიბეჭდა რომანი ბრეტგარტისა „მზრუნველი“ და ესხილის ტრაგედია: „მიჯაჭვული პრომეთეოს“, მშვენივრად თარგმნილი მერეჟკოვსკის მიერ. სამეცნიერო წერილთ შორის კარგი იყო ამ ჟურნალში: ბიოგრაფია და სალიტერატურო მოღვაწეობა გერმანელ მსწავლულის ჰელმჰოლცისა, წერილი პროფესორის გერიესი: „შუა საუკუნეთა აზრები, მისი გაჩენა და სანატრელი“ და სხ.

ჟურნალ „Рус. Мысль“-ში დაიბეჭდა დიდი რომანი ერტელისა: „სანაცვლოდ“. ამ რომანში აწერილია, როგორ იცვლება ამ ჟამად მიწადმფლობელობის საქმე რუსეთში და ხოლო სხვა-და-სხვა წოდებათა; მოთხრობა კარონინისა „მასწავლებელი ცხოვრებისა“, „ძმანი გორდეევები“ მამინ-სიბირიაკისა, „ექვსნი“ პოტაპენკოსი, კოროლევსკისა „აჩრდილნი“ და ერთი საუკეთესო ნაწერთაგანი ბობორიკინისა: „განწირულია“. სხვა წერილებ შორის ყურადღებას იქცევდა წერილები გლებ უსპენსკისა, მოთხრობანი მაჩტეტისა და სხ. სხვა წერილებ შორის უნდა აღინიშნოს: „ლერმონტოვის პოეზიის ჰანგები“, ოსტროგორსკისა, „რუსეთის ეპოსი“ ვს. მილლერისა და „შენიშვნები ეხლანდელის რომანის შესახებ“ გოლცევისა.

„Сѣвер. Вѣст.“-ში დიდი მოთხრობა ისევ მწერალმა ქალმა ვინიცკაიამ დაბეჭდა: „პოლენოვის ქალი და იაროსლავცევები“. დაიბეჭდა აგრეთვე პოტაპენკოს დიდი რომანი „გმირი არ არის“ და ამბავი სოფლის ცხოვრებისა „ფრთოვანი სიტყვა“. ბობორიკინმა დაბეჭდა პატარა მოთხრობა „წასასვლელი“ რომელშიაც აწერილია ქალი ერთის მეტად საინტერესო ხასიათისა. საინტერესოა კიდევ ამბავი ლუგოვოისა „Pollice verso“, რომელსაც ფსიხოლოგიური შინაარსი აქვს და მოთხრობა მამინ-სიბირიაკისა „ერთგული ყმა“.

თარგმანებში საყურადღებოა: გენრიკ იბსენის დრამა „ედდა გაბლერ“ და რომანი შვეციის მწერლისა ბიერნშტერნ-ბიერნსონისა: „ახალი სიო“.

საპუბლიცისტო და სამეცნიერო წერილებში უნდა აღინიშნოს ლექცია პროფ. სტებუტისა: „საჭიროა თუ არა რუსის დედაკაცისთვის სპეციალი სამეურნეო განათლება“ და წერილი მოროზოვისა: „ჰეინე და დედაკაცნი“.

დასასრულ ავტორი მიმოხილვისა მოიხსენიებს ამ ცოტაოდენის ხნის წინად დაარსებულ ჟურნალ „Русское Обозрѣніе“-ს, რომელშიაც იყო დაბეჭდილი, სხვათა-შორის, ფრანგის ვოგიუეს წერილი საფრანგეთის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ და წერილი შოპენჰაუერისა მწერალის კაცისა და მის ენის სისუფთავის თაობაზე. მოიხსენიებს აგრეთვე ჟურნალ „Артистъ“-ს, რომელიც დაარსდა განსაკუთრებულის აზრით და ახლა საზოგადო სალიტერატურო ორგანოდ გადიქცა.

---

## დიდი ომი 1892 წელს

ადამიანს ძლიერ უყვარს მომავალზედ ფიქრი და ოცნება. ისე არაფერი არ გვესიამოვნება, როგორც იმის ფიქრი, თუ რა მოხდება ხვალ, ზეგ, ასის წლის შემდეგ. ადამიანის ეს ფიქრი ადვილი გასაგებია. მართლაც-და დღეს იმას ვფიქრობთ, ხვალ უკეთ ვიცხოვრებთო, დადგება ეს ხვალ, იმედი გვიცრუვდება და რა ვქნათ იმის მეტი, თუ ისევ არ ვიმედოვნებთ, იქნება ხვალ უკეთ მოეწყოს ჩვენი ცხოვრება, იქნება ეხლა მაინც აღარ გვიმტყუნოს იმედმა!

სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ თითქმის ყოველ თთვე ახალი წიგნი იბეჭდება იმის შესახებ, თუ რას უნდა მოველოდდეთ მომავალში. ჯერ დაიბეჭდა ბელლამის რომანი „ასის წლის შემდეგ“, რომელითაც ავტორი გვიხატავს კაცობრიობის მომავალს ყოფა-ცხოვრებას. ბელლამის შემდეგ დაიბეჭდა სუტნერის რომანი „ომის წინააღმდეგ“. ეს წიგნიც მომავალს შეეხება. ჩვენს გაზეთში იბეჭდება შარლ რიშეს ლექციები „რა იქნება ასის წლის შემდეგ“. ეხლა-ხან კიდევ ლონდონში დაიწყეს ბეჭდვა ახალის რომანისა, ანუ უკეთ ვსთქვათ საოცნებო კორესპონდენციებისა „1892 წლის დიდის ომის შესახებ“. აი ამ რომანის დასაწყისის შინაარსი.

„მოგონილი“ კორესპონდენციები 1892 წლის „მოგონილის“ ომიანობის ამბით იწყება, იმ ამბით, რომ ფილიპპოლიდგან დეპეშებით იუწყებიან, ფერდინად ბოლგარელს ვიღამაც მოკვლა დაუპირაო. ეს ამბავი მთელს ევროპას აღელვებს და აშფოთებს. ომი რეინის ნაპირებზედ-კი არ იწყება, ელზას-ლოთრენის გამო, როგორც ბევრსა ჰგონია, არა, ომი ასტყდება ბალკანიის ნახევარს კუნძულზედ. საფრანგეთი იჭვის თვალით შეჰყურებს გერმანიას, იტალია ოცნებობს დაკარგულ ადგილების დაბრუნებას, დანია არ ივიწყებს თავისს დამცირებას და შერცხვენას, ისპანია ოცნებობს, გიბრალტარი როგორმე ჩავიგდო ხელშიო, პორტუგალიას გაახსენდება აფრიკაში კოლონიების დაკარგვა და ჰფიქრობს დაიბრუნოს, საბერძნეთი დაკარგულს, მშვენიერს კუნძულს, კრიტსა ჰგლოვობს და სხვა. ბალკანიაში საქმე მწვავდება. ოსმალეთი ჩვეულებისამებრ არა სთვლემს. ხელად ჰკრებს და ბრძოლის ველზედ გამოჰყავს 295 ათასი ჯარის კაცი. სერბიისა და ბოლგარიის შორის ასტყდება ომი. ბოლგარია სძლევს სერბიის ჯარებს, უკუ აქცევს და ნიშის დაპყრობას ლამობს, მაგრამ ამ დროს ომში ჩაერევა ავსტრია და იპყრობს ბელგრადს. ექვსის დღის შემდეგ ბრძოლის ველი გადადის ბუხარესტში. რუსეთი სამხრეთისკენ ჩუმ-ჩუმად ჯარებს აგროვებს და განზრახვა აქვს, უცებ დაეცეს ოსმალეთსა და ბოლგარიას. რაღაც მანქანის, გელიოგრაფის შემწეობით, რომლის არსებობაც რუსეთმა არც-კი იცის, ეს საიდუმლო განზრახვა გამოაშკარავდება. ხონთქარს გამოჰყავს თავისი 295 ათასი კაცი, შეეტაკება რუსეთს შავს ზღვაზედ დ დაამარცხებს კიდეც.

ამაზედ სწყდება ეს ფანტასტიური რომანი. შემდეგ რაღა მოხდება? უეჭველია, დამარცხებულს რუსეთს საფრანგეთი დაეხმარება, ინგლისს ეწყინება და მიემხრობა ხონთქარს. შემდეგ სამთა კავშირიც ჩაერევა კრივში და აბა მაშინ უყურეთ თამაშას!..

---

## უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის იმპერატორს შემდეგი წერილი მიუწერია ერთის უკეთესის პროვინციალურის გაზეთის პატრონისათვის, რომელსაც ამ ახლოხანში უდღესასწაულნია მეასორმოც-და-ათე წელიწადი თავის გაზეთის დაარსებისა:

„დიდის სიამოვნებით წავიკითხე

---

ლი ბიჭი, სიმონაი, უნდა შობოდეს ამ წვრიმალ ქურდობას, სხვაზე მე, ჩემი ჭკუით, გუმანი ვერ მიმიტანია და აწი თქვენ იცით.

ხალხი გაჩერდა და ჯერ არას ამბობდა. შესაძლებელია ამ შემთხვევაში მარტო სიტყვიერ შენიშვნად მიეღო ხალხს დავითის სიტყვა და სხვა შედეგი არა მოჰყოლოდა-რა, მით უმეტეს, რომ დავით მაინცა და მაინც დაჟინებით არ ეუბნებოდა ხალხს, ჩემი სიტყვით გაათავეთ საქმეო. არა, დავითმა თავისი აზრის თქვა და მერე ისევ ხალხს შეანება საქმის გათავება. აბა, ამისთანა წვრიმალებზე დავით ხომ თავს არ გამოიდებდა. მაგრამ სიმონა, რომელიც ამ დროს იქ იყო და დავითის სიტყვები გარკვევით გაიგონა, ჯერ თავზარ-დაცემულივით გაშეშდა. მაგრამ საჩქაროდ გამოერკვა, წამოდგა წინ და თვალებზე სიბრაზის ცრემლ-მოდენილმა უთხრა დავითს:

— დავით, რა დაგიშავე, რომ პაწაობიდან შემიძულე! ისე შენმა ცოლშვილმა ნახოს ხეირი, რავაც მე შენი ან ყურძენი, ან ხილი, ან ii დათიკაის სიმინდი მევიპარე! აა, შენ წაწყმენდილო, ქვეყნის მყლაპაო, რას მერჩი, რას!

ხალხი მისცვივდა სიმონას და მიაფარა პირზე ხელი:

— ბიჭო, ხომ არ გადირიე, თავადიშვილი ვერ გეუბედავს ამას მაგისთანა სიტყვებს! შენი ტოლი ხომ არ გგონია! გაჩუმდი, გაჩუმდი.

მაგრამ სიმონა ისე იყო აღელვებული, რომ თავი აღარ ახსოვდა.

— შენ რომ ჭკვიანი იყო, გაჩვენებ სეირს. მარა სულელს რა უნდა გითხრა, დამშვიდებით უთხრა დავითმა, რომელსაც ცოტაოდნად კიდევ ებრალებოდა სიმონა: ობოლი კაციაო.

შენ — რომ ბერძენს ფულები მოჰპარე და იმით გაკეთდი, ისე გგონია სხვაიც! მიაძახა გაცხარებულმა სიმონამ დავითს პირში.

აქ-კი ველარ მოითმინა დავითმა. „მამასახლისო, მომაშორე აი ყაზილარი, თვარა“... გულ-მოსულმა დაუყვირა მამასახლისს, რომელმაც იმ წამსვე უბძანა სიმონას დაჭერა. მისცვივდნენ სიმონას „ყარაულები“ და „ხევის თავი“. თუმცა სიმონა ძალიან დატრიალდა და შემოიფანტა ხალხი, მაგრამ ბოლოს მაინც დაიმორჩილეს და წაიყვანეს „ნაობახში“ (სასოფლო სატუსაღო.)

— თუ გამოვედი აქედან, გაჩვენებ შენს სეირს, გამოსძახა სიმონამ დავითს.

— ოჯო, ii ქრივი დედაბერი არ მეცოდვებოდეს, მე შენ შეგაყოლებ ზეით, ციმბირისკენ, იგია შენი ადგილი! მარა, რომ მეცოდვება, ახლა რა უნდა გიყო! დაილაპარაკა დავითმა წარბების შეჭმუხვნით.

— ნუ იკადრებ, ბატონო, უჭკუოა და ჭყამპალებს, მეტი შენი წყენა რა უნდა შეეძლოს იმას! უთხრა ვიღაცამ მორიდებით დავითს.

— ჩემო ძმაო, ამისთანას უფრო შეუძლია წყენა და ვნება: მოგეპარება ერთს ღამეს, წაგიკიდებს ცეცხლს და გამოგბუგავს შით, ჩაგიჯდება გზაში, გკრავს თოფს და გაგაგორებს. მერე მიდი და უყარე კაკალი! უპასუხა დავითმა თავისებურის მოსწრებულის სიტყვებით.

უკანასკნელ დავითმა იხმარა სულგძელობა: საღამოს გამოაშვებინა „ნაობახიდან“ სიმონა და სიმინდის მოპარვის საქმეც „სამეზობლო სამართლით“ გაათავებინა ხალხს, ესე იგი მეზობლობას უნდა დაეფიცა ხატზე, რომ სიმინდი არც თვითონ მოეპაროს და არც ქურდი იცოდეს. ვინც ფიცზე უარს იტყოდა, ქურდობაც იმას დაატყდებოდა.

როცა სიმონა „ნაობახიდან“ გამოიყვანეს, შეხედა დავითს, „დამაცა“-ო, ჩაილაპარაკა და გულში ჩაიკრა ხელი.

— ვაჟო, აგი აღარ ხუმრობს, მგონია, სთქვა დავითმა.

— არაფერია, შენი ჭირიმე, გამოუცდელია და, ხომ მოგეხსენება, გამოუცდელი კაცის ამბავი, ხვალ კიდევ შენი მორჩილი მონა და მოსამსახურე იქნება, დაამშვიდა ხალხმა დავით.

მაგრამ ხალხის სიტყვა არ გამართლდა: იმ დღიდან დაწყებული სიმონა დავითს აღარც სალამს აძლევდა და თან, სადაც შეხვდებოდა, ისეთის თვალით-კი შეჰხედავდა, რომ დავითი იძულებული იყო, თვალი აერიდებია. მართალია, ქეთევან მუდამ ეჩიჩინებოდა შვილს: — შვილო, ნეფის ტოლი კაცია, ჩვენისთანა მწერს, ნეკი რომ გაანძრიოს, იმით გასრესს, შეურიგდი, სალამი მიეცი, ბოდიში მოიხადეო, მაგრამ სიმონა თავისას არ იშლიდა. ქეთევან-კი თავის მხრით ხშირად იხდიდა დავით[illegible] წინაშე ბოდიშს: — „აპატივე, ბა[illegible]ნო, ბალანაია, უჭკუო“-ო.

— „შენ მე[illegible]რალები, თვა[illegible] იმას ჰკუას ასტავლიან, იმისთანა [illegible]გილზე ჩავაჯენ“-ო, უპასუხებდა [illegible]ავით მოკლედ.

(შემდეგი იქნ[illegible])

ე. ნინოშვილი

სადღესასწაულო ნომერი თქვენის გაზეთისა ,,Schlesische Zeitung‘‘, რომელიც გაზეთის იუბილეის გამო გამოგვეგზავნათ ჩემთვის და დიდად ჩამწვდა გულში ის გარემოება, რომ ეგ გაზეთი ას ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში სულ ერთის გვარის ხელში ყოფილა.

,,ეს გარემოება უფრო საყურადღებო შეიქმნება, უკეთუ გავიხსენებთ, რა კავშირი არსებობდა მაგ გაზეთის წარმატებასა და ჩვენის სამშობლოს ისტორიას შორის. ეგ გაზეთი დაარსდა სწორედ მას შემდეგ, როცა სილეზია დაიჭირა ჩემმა დიდებულმა წინაპარმა მეფე ფრიდრიხ მეორემ და მისგანვე მიენიჭა შეღავათი და წყალობა. მაგ გაზეთმავე მიიღო დიდი მონაწილეობა დიდებულს სამამულიშვილო მოძრაობაში 1813 წლის გაზაფხულს, რასაც ცხადად ჰმოწმობს იმ წელს დაბეჭდილი 20 მარტის ნომერი მაგ გაზეთისა. ამ ნომერში დაბეჭდილია პროკლამაცია მისის უდიდებულესობისა მეფე ფრიდრიხ მესამესი, მისი შესანიშნავი წერილი: ,,ჩემის ერის მიმართ‘‘, წერილი მხედრობის მიმართ და ქარტია ,,რკინის ჯვარის‘‘ ორდენისა. ერთის სიტყვით, ყოველი დიდებული დრო და წამი ჩვენის ისტორიისა ამტკიცებს და ჰმოწმობს, რომ ეგ გაზეთი მწუხარებაშიაც და სიხარულშიაც ერთგული იყო მეფისა და სამშობლოსი. ამიტომ, გილოცავთ-რა თქვენის გაზეთის დღესასწაულს, არ შემიძლიან მასთანავე არ ვიქონიო იმედი, რომ შემდეგშიაც არ უღალატებთ იმ ჭეშმარიტს მამულის შვილობას, რა მამულიშვილობაც წარსულში გამოიჩინეთ.

**ინგლისი.** ჩარლზ დილკი ერთს თავის წერილში ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა გვარს პოლიტიკას დაადგება ინგლისი, უკეთუ გლადსტონმა გაიმარჯვა არჩევანებზე და მთავარ-მინისტრობა ჩაიბარა. ჩემის აზრით, ინგლისი ვერ დაუკავშირდება საფრანგეთსა და რუსეთსაო. ასეთი კავშირი შეუძლებელიაო. ასევე მოუხერხებელია, რომ ინგლისმა გერმანიას დაუჭიროს მხარი. ბევრად სასარგებლო იქმნება, რომ იტალია განშორდეს სამთა კავშირს და ინგლისმა და იტალიამ ცალკე ლიგა დააარსონ მეზღვაოსნე სახელმწიფოთა და ცალკე გადგნენო. ამ საქმის მოხერხება სწორედ გლადსტონის სურვილის შესაბამიც იქმნებოდა, მაგრამ საქვოა, ლიბერალთა სამინისტროს მომავალმა მეთაურმა ამ საქმეს მოანდომოს თავისი მოცალეობა. მთელი იმისი ძალღონე და დრო ირლანდიის პოლიტიკას დასჭირდება. უნდა ვიფიქროთ, რომ საგარეო საქმენი სულ მთლად ლორდ როზბერის ხელში იქნება, ხოლო ლორდ როზბერი-კი ამისთანა საქვის დაწყებასა და მოგვარებას ვერ იკისრებს. ყოველ ამის გამო, დილკის აზრით, ინგლისის საგარეო პოლიტიკაში საიმისო შესამჩნევი ცვლილება არა მოხდება-რა: საფრანგეთის შესახებ ინ[g]ლისი ეცდება, რომ ყველა სადაო [საქ]მე, რომელიც მასთანა აქვს, გადა[წ]ყვიტოს დიპლომატებურის გზით. საზო[გა]დოდ-კი ინგლისი განზედ იდგება [და] ევროპიის პოლიტიკაში გარევას ა[რ] მოინდომებს.

# დეპეშა

9 იანვარი

**პეტერბურგი.** გუშინ მათი უდიდებულესობანი ინგლისელთა ეკკლესიაში ბრძანდებოდნენ წირვაზედ მოსახსენებლად ჰერცოგ კლარენსისა.

,,Нов. Время‘‘—იუწყება, საზოგადო სამუშაოთა წეს-რიგის დაწყობის საქმე უკვე დამთავრებულა; ყოველს დამშეულს გუბერნიაში დაინიშნება განსაკუთრებული რწმუნებული იმ კაცთაგან, რომელნიც უსასყიდლოდ მოისურვებენ, ამ კეთილს საქმეს ემსახურონ. ყაზანისა, პენზისა, ტულისა, ტამბოვისა, რიაზანისა და ორლოვის გუბერნიაში უკვე დანიშნულ იქმნენ ამ გვარი რწმუნებულნი; სხვა გუბერნიებშიაც მალე დანიშნავენ. მუშათა დასების დაწყობა დაეკისრებათ ტეხნიკოსებს საეროზო უფროსთა მონაწილეობით.

იმავე გაზეთს გაუგონია, გარდაწყვეტილია, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას და ურალის რკინის გზა უფისას შეუერთონ.

10 იანვარი

**პეტერბურგი.** განსაკუთრებულმა კომიტეტმა სხვათა შორის 200,000 მან. გადასდოს პურის სასყიდლად და ეს პური ზლატოუსტში გაჰგზავნოს. ამას გარდა სამარას გუბერნიისათვისაც 150,000 მან. გადაიდო.

2-დგან 4 იანვრამდე განსაკუთრებულს კომიტეტში ფულად შესაწირავი 34,000 მან. შევიდა, მათ რიცხვში 10,000 დიდის მთავრინასი ეკატერინე მიხეილის ასულისა და ამდენივე პსკოვის საერობოს გამგეობიდგან.

15 იანვარს პეტერბურგში შვეციის მემკვიდრე პრინცს მოელიან.

**პარიჟი.** ოფიციალურად იუწყებიან, საფრანგეთის სუდანიდგან, რომ პოლკოვნიკმა ომბერმა ბრძოლა დაიწყო სამორიელების წინააღმდეგაო. მტერი გაიქცა. ორ შეტაკების შემდეგ საფრანგეთის რაზმი 12 იანვარს ბისსანდოინში შევიდა; სულ ხუთი კაცი მოუკვდა და ოთხი დაეჭრა.

**ბერნი.** საერო საბჭომაც შეიწყნარა კანონი საპოლიტიკო დამნაშავეთა გაცემის შესახებ.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი $3^1/_2$-დგან $3^0/_0$-მდე.

2 იანვარს მომხდარ მე-54-ს ტირაჟის დროს პირველ შინაგან სესხის მომგებიან ბილეთების 500 მანათიანი მოგებანი შემდეგს ბილეთებს ჰხვდა:

| სერ. №№ | ბილეთ. №№ | სერ. №№ | ბილეთ. №№ | სერ. №№ | ბილეთ. №№ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5,097 | 19 | 16,056 | 35 | 125 |
| 1 | 10,249 | 19 | 16,136 | 35 | 705 |
| 1 | 11,973 | 19 | 19,841 | 35 | 2,403 |
| 1 | 15,134 | 20 | 2,610 | 35 | 2,725 |
| 1 | 16,565 | 20 | 9,101 | 35 | 5,740 |
| 1 | 18,124 | 20 | 9,793 | 35 | 12,849 |
| 2 | 6,643 | 20 | 10,113 | 35 | 16,380 |
| 2 | 12,798 | 21 | 21 | 35 | 17,924 |
| 2 | 15,460 | 21 | 2,548 | 35 | 19,118 |
| 2 | 16,634 | 21 | 4,671 | 35 | 19,968 |
| 2 | 18,764 | 21 | 6,317 | 36 | 6,923 |
| 3 | 1,646 | 21 | 8,759 | 36 | 7,141 |
| 3 | 5,113 | 21 | 11,572 | 36 | 9,113 |
| 3 | 9,203 | 21 | 11,672 | 36 | 9,205 |
| 3 | 14,358 | 21 | 13,067 | 37 | 2,396 |
| 4 | 1,537 | 21 | 19,511 | 37 | 2,542 |
| 4 | 5,977 | 21 | 19,839 | 37 | 8,981 |
| 4 | 9,627 | 22 | 5,009 | 37 | 15,603 |
| 4 | 14,176 | 22 | 6,550 | 37 | 17,925 |
| 4 | 15,283 | 22 | 12,628 | 37 | 19,434 |
| 4 | 17,279 | 22 | 12,804 | 38 | 6,822 |
| 5 | 1,067 | 22 | 15,615 | 38 | 10,996 |
| 5 | 3,353 | 22 | 19,891 | 38 | 16,259 |
| 5 | 19,380 | 23 | 612 | 39 | 3,125 |
| 6 | 307 | 23 | 8,747 | 39 | 6,242 |
| 6 | 4,555 | 23 | 9,929 | 39 | 13,784 |
| 7 | 708 | 24 | 3,802 | 39 | 19,945 |
| 7 | 7,163 | 24 | 12,040 | 40 | 2,504 |
| 7 | 7,851 | 24 | 18,977 | 40 | 4,344 |
| 7 | 9,973 | 24 | 19,814 | 40 | 4,742 |
| 7 | 12,424 | 25 | 10,532 | 40 | 5,506 |
| 8 | 238 | 25 | 16,116 | 40 | 8,612 |
| 8 | 1,028 | 25 | 18,161 | 40 | 13,674 |
| 8 | 6,464 | 26 | 3,900 | 40 | 16,178 |
| 8 | 13,261 | 26 | 6,273 | 40 | 17,252 |
| 9 | 5,678 | 26 | 6,779 | 40 | 17,367 |
| 9 | 7,126 | 26 | 10,107 | 40 | 18,156 |
| 9 | 8,719 | 26 | 10,142 | 41 | 1,491 |
| 9 | 14,006 | 26 | 17,000 | 41 | 1,518 |
| 9 | 18,648 | 27 | 322 | 41 | 7,105 |
| 10 | 2,509 | 27 | 6,476 | 41 | 8,857 |
| 10 | 6,293 | 27 | 9,947 | 42 | 2,305 |
| 10 | 8,724 | 27 | 14,774 | 42 | 15,189 |
| 10 | 14,151 | 27 | 15,101 | 42 | 16,776 |
| 10 | 14,493 | 27 | 16,313 | 43 | 7,959 |
| 10 | 19,535 | 28 | 7,757 | 43 | 14,845 |
| 12 | 1,845 | 28 | 8,995 | 43 | 16,327 |
| 12 | 14,779 | 28 | 10,593 | 43 | 18,146 |
| 12 | 15,738 | 28 | 13,951 | 44 | 2,196 |
| 13 | 1,846 | 28 | 14,871 | 45 | 584 |
| 13 | 3,005 | 28 | 17,070 | 45 | 1,461 |
| 13 | 11,142 | 29 | 6,025 | 45 | 2,108 |
| 13 | 14,534 | 29 | 6,269 | 45 | 3,619 |
| 13 | 15,122 | 29 | 11,534 | 45 | 3,616 |
| 13 | 17,569 | 29 | 12,811 | 45 | 4,141 |
| 14 | 1,004 | 29 | 13,321 | 45 | 8,159 |
| 14 | 1,042 | 30 | 1,137 | 45 | 8,581 |
| 14 | 3,178 | 30 | 2,886 | 45 | 10,884 |
| 14 | 3,785 | 30 | 14,780 | 45 | 11,183 |
| 14 | 3,961 | 30 | 16,407 | 45 | 16,445 |
| 14 | 5,265 | 31 | 4,095 | 45 | 18,988 |
| 14 | 6,774 | 31 | 7,926 | 46 | 10,917 |
| 14 | 7,230 | 31 | 11,675 | 46 | 11,913 |
| 14 | 7,332 | 31 | 12,826 | 47 | 1,917 |
| 14 | 7,517 | 31 | 14,788 | 47 | 2,443 |
| 14 | 11,948 | 31 | 15,610 | 47 | 2,612 |
| 14 | 17,575 | 31 | 16,578 | 47 | 10,041 |
| 15 | 6,756 | 32 | 55 | 47 | 16,235 |
| 15 | 6,776 | 32 | 5,801 | 48 | 5,017 |
| 15 | 7,184 | 32 | 5,988 | 48 | 9,122 |
| 15 | 7,456 | 32 | 8,096 | 48 | 10,742 |
| 15 | 16,037 | 22 | 10,810 | 48 | 11,959 |
| 16 | 6,740 | 32 | 14,419 | 48 | 12,541 |
| 16 | 8,753 | 33 | 1,383 | 48 | 12,602 |
| 16 | 14,949 | 33 | 5,484 | 48 | 13,253 |
| 16 | 1,562 | 33 | 7,432 | 48 | 18,082 |
| 16 | 17,430 | 33 | 11,913 | 48 | 19,186 |
| 17 | 9,245 | 33 | 16,772 | 49 | 6,076 |
| 17 | 11,696 | 33 | 17,771 | 49 | 7,665 |
| 17 | 18,872 | 34 | 3,483 | 49 | 14,459 |
| 18 | 4,951 | 34 | 9,352 | 50 | 465 |
| 18 | 6,754 | 34 | 12,580 | 50 | 1,442 |
| 18 | 6,772 | 34 | 12,831 | 50 | 7,042 |
| 18 | 13,165 | 34 | 15,382 | 50 | 7,912 |
| 19 | 5,763 | 34 | 15,539 | 50 | 14,305 |
| 19 | 8,404 | 34 | 16,901 | 50 | 18,936 |
| 19 | 11,147 | 34 | 18,095 | | |

ნომრები ტირაჟში გამოსულ სერიებისა.

14,615 12,970 1,447 4,285
5,065 2,331 8,530 13,206 15,068
5,053 9,924 18,524 3,308 8,260
13,450 686 17,782 6,421 9,889
19,192 14,929 15,118 15,560
13,453 19,240 13,383 7,459
11,620 10,721 10,218 9,810
11,357 4,477 13,175 969 19,347
6,614 13,960 6,410 14,323 5,272
1,043 17,730 6,825 15,830 14,481
15,360 10,975 3,071 7,384 14,333
16,205 9,890 13,823 4,108 2,406
18,063 5,732 17,561 18,269 15,401
5,592 12,030 19,447 19,400 2,917
2,774 14,216 10,433 2,075 19,619
8,060 6,597 6,314 5,903 8,083
12,359 14,596 12,987 4,708 2,421
11,141 6,738 6,762 3,750 8,536
244 14,390 4,812 17099 10,642
13,425 17,745 17,540 6,214 3,621
3,015 9,622.


## ა. რალლე და ამხ.

მოსკოვში

სასახლის იჯარადარი

ა. რალლეს და ამხ.

ფაბრიკის მიერ განსაკუთრებით გაკეთებულნი და გამოგონილნი:

ხავერდის პუდრა

ფერადი საპონი გლიცერინისა

ქვერცხის საპონი

ყვავილებით დაწმენდილი ო-დე-კოლონი

ისყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა (5—5)

ეს განცხადება დაბეჭდილია „Правит. Вѣстн.“-ის 19 წ. 18 მარტის მე-87 №-ში

Z—BOUQUET. ‖ Z—დუხი.

ახალი, მეტად ძვირფასი, მაგრამ მეტად მშვენიერი დუხია

## რ. კელერისა და ამხ. ქარხანსა მოსკოვში

უნდა გამოიწეროთ როგორც რუსეთის პარფიმერიის საუკეთესო ნიმუში.

ყველა საუკეთესო მაღაზიაში ისყიდება ყველგან. (5—0—5)

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ხასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, № 9, სახლი პაპოვისა. (10—9)

Открыта подписка на 1892 г. (сорокъ седьмой годъ изданія)

## НА ГАЗЕТУ

# „КАВКАЗЪ“

**Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮТИНЪ**

Съ 1-го января наступающаго года газета „Кавказъ“ переходитъ въ руки новой редакціи и будетъ издаваться по расширенной программѣ и при обновленномъ составѣ сотрудниковъ. Главной ея задачей будетъ служить интересамъ Кавказскаго края и его населенія, а также интересамъ Россіи на Востокѣ.

Для сообщенія возможно полныхъ и точныхъ свѣдѣній газета будетъ имѣть корреспондентовъ во всѣхъ губерніяхъ и областяхъ Кавказа, въ важнѣйшихъ мѣстностяхъ Закаспійскаго края и Туркестана, въ Поволжьѣ, въ Харьковѣ, Одессѣ и другихъ городахъ, а также нѣсколькихъ специалныхъ корреспондентовъ въ С.-Петербургѣ и Москвѣ; за границею газета „Кавказъ“ будетъ имѣть корреспондентовъ въ Азіятской Турціи, Персіи, средне-азіятскихъ ханствахъ и другихъ странахъ Востока, а изъ европейскихъ мѣстностей—въ Парижѣ, Лондонѣ и Константинополѣ. Помѣщаемыя корреспонденціи будутъ касаться какъ политической и общественной жизни, такъ равно и торгово-промышленной.

Газета „Кавказъ“ будетъ выходить ежедневно (кромѣ дней, слѣдующихъ за большими праздниками).

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

| Съ доставною въ Тифлисѣ. | Съ пересылкою иногороднымъ. | По почтовому союзу. |
|---|---|---|
| На годъ . . . 11 р. 50 к. | На годъ . . . 13 р.—к. | На годъ . . . 18 р. 40 к. |
| „ 1/2 года. . 6 „ — „ | „ 1/2 года. . 7 „ — „ | „ 1/2 года . 10 „ — „ |
| „ 3 мѣсяц. . 3 „ 50 „ | „ 3 мѣсяца. 4 „ — „ | 3 мѣсяца . 6 „ — „ |
| „ 1 „ . 1 „ 50 „ | „ 1 „ . 1 „ 75 „ | 1 „ . 2 „ — „ |

Разсрочка допускается для годовыхъ подписчиковъ по соглашенію съ редакціей, причемъ иногродными вносится 3 р. при подпискѣ и по 2 р. къ первымъ числамъ марта, мая, іюля, сентября и ноября; городскими—въ тѣ-же сроки: 3 р., 2 р., 1 р. 50 к., 1 р. 50 к. и 1 р. 50 к.

Подписка принимается въ конторѣ газеты „Кавказъ“ (Тифлисъ, Пушкинская, № 12, д. Бабанасова).

(3—3)


Дозв. [..]нз. Тифлисъ, 10-го Января 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.